

“საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“, კოალიციის „არჩევანის თავისუფლება“ და არჩევნების თემაზე მომუშავე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების

განცხადება

საქართველოს დემოკრატიული განვითარებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია სამართლიანი საარჩევნო გარემო და პოლიტიკური გაერთიანებებისთვის კონკურენტული, თანასწორი პირობების შექმნა. თუმცა, პარლამენტის მიერ შემოთავაზებული ზოგიერთი საკანონმდებლო ცვლილება მკაცრ და არაპროპორციულ შეზღუდვებს აწესებს კერძო სექტორისათვის, მაშინ როდესაც ხელისუფლებას ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების და აგიტაციის ფართო შესაძლებლობები აქვს. განსაკუთრებული წუხილის საგანია საქართველოს მოქალაქეთათვის და კერძო სექტორისთვის გამოხატვის თავისუფლების შესაძლო შეზღუდვა.

წინამდებარე განცხადებით მოუწოდებთ საქართველოს პარლამენტს დაიცვას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები, გაითვალისწინოს სამოქალაქო სექტორის მოსაზრებები (იხ. **არასამთავრობო ორგანიზაციების მოსაზრება**) “მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების” შესახებ საქართველოს კანონში და სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებების განხილვისას და მიიღოს საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც:

- ✓ უზრუნველყოფს კერძო სექტორის და ამომრჩევლის გამოხატვის თავისუფლებას;
- ✓ შექმნის პოლიტიკურ გაერთიანებებისათვის თანასწორ და კონკურენტულ საარჩევნო გარემოს;
- ✓ არ დააწესებს მკაცრ და არაპროპორციულ შეზღუდვებს წინასაარჩევნო პერიოდში ბიზნეს და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ამომრჩევლებს;
- ✓ არ შექმნის ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და საფრთხეს არ შეუქმნის რიგით ამომრჩევლებს და იურიდიულ პირებს.

ხელმომწერები:

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

კოალიცია „არჩევანის თავისუფლება“

განცხადებას უერთდებიან:

1. ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“

2.

3.

.....



არასამთავრობო ორგანიზაციების მოსაზრება კერძო და არასამთავრობო სექტორისათვის, ასევე რიგითი მოქალაქეებისათვის არაგონივრული შეზღუდვების დაწესების თაობაზე

მიმდინარე პერიოდში საქართველოს პარლამენტი განიხილავს საკანონმდებლო ინიციატივებს, რომელთა ძირითადი მიზანია საარჩევნო გარემოს შეცვლა იმგვარად, რომ შეზღუდვები დაუწესდეთ ბიზნეს კომპანიებს, იქ დასაქმებულ ადამიანებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და პოლიტიკურ პარტიებს. ცვლილებები მიმართულია მხოლოდ ამ ჯგუფების რეგულირებისკენ და არ ისახავს მიზნად იგივე შინაარსისა და სიმკაცრის შეზღუდვების დაწესებას თანამდებობის პირების, ზოგადად საჯარო მოხელეებისა და სახელმწიფო სექტორში დასაქმებული სხვა პირებისათვის, რომლებიც ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების, თუ სხვა გზებით პარტიის მხარდამჭერ საქმიანობას ახორციელებენ.

კერძო სექტორისთვის დადგენილი შეზღუდვები, გარკვეულწილად, აღნიშნული სექტორის ბუნებისათვის შეუსაბამოა, ზოგიერთ შემთხვევაში კი, არაპროპორციული და ზედმეტად მკაცრი ჩადენილ დარღვევასთან მიმართებაში. შესაბამისად, იქმნება სრულიად არათანასწორი ვითარება, იმის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლებასა და მმართველ პარტიას შორის ზღვარი, პრაქტიკულად, მოშლილია.

კერძოდ, პარლამენტში განსახილველი კანონპროექტების მიხედვით:

- ახლებურად ყალიბდება სისხლის სამართლის კოდექსის 164¹ მუხლი - „ამორჩევლის მოსყიდვა.“ თუ აღნიშნულ დანაშაულს ჩაიდენს იურიდიული პირი, მისი ლიკვიდაცია მოხდება. მაგალითად, ასეთი შედეგი შეიძლება დადგეს იმ შემთხვევაშიც, თუ რომელიმე ბიზნესკომპანია ამომრჩეველს მცირე ღირებულების

საკვებ პროდუქტს გადასცემს და სანაცვლოდ რომელიმე პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერას სთხოვს.

- პოლიტიკურ პარტიასთან ერთად, სისხლის სამართლის წესით დაისჯება ის ამომრჩეველი, რომელიც მისგან ფულს, სხვა ქონებას/მომსახურებას მოითხოვს ან მიიღებს. მაგალითად, თუ ამომრჩეველს პარტია დაუფინანსებს გარკვეულ სამედიცინო მომსახურებას, შესაძლოა, ეს ამომრჩეველი დაისაჯოს 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.
- სისხლისსამართლებრივი წესით დაისჯება ამომრჩევლის არამხოლოდ პირდაპირი, არამედ არაპირდაპირი მოსყიდვაც. აღნიშნული ჩანაწერი შეიცავს შესაძლებლობას, რომ კონკრეტული ფიზიკური პირის მიერ განხორციელებული მოსყიდვა ყოველთვის დაუკავშირდეს რომელიმე პოლიტიკურ პარტიას. მაგალითად, თუ პირი (შესაძლოა, პროვოკატორი), რომელიც არ მოქმედებს პარტიის სახელით, სთხოვს რომელიმე ამომრჩეველს ხმის მიცემას აღნიშნული პარტიისთვის რაიმე თანხის/მომსახურების სანაცვლოდ, ჩადენილი დანაშაული, შესაძლოა, მიჩნეულ იქნეს პარტიის მიერ არაპირდაპირ, სხვისი მეშვეობით ჩადენილად და გამოიწვიოს მისი ლიკვიდაცია.
- ის იურიდიული პირი (მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაცია, ბიზნეს კომპანია) რომელიც წარმომადგენლის, ან სხვა პირის მეშვეობით მოუწოდებს ამომრჩეველს რომელიმე პოლიტიკური ძალის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისაგან თავის შეკავების თაობაზე, დაექვემდებარება პოლიტიკური პარტიებისათვის დადგენილ შეზღუდვებს, კერძოდ: ის იურიდიული პირისაგან შემოწირულობას საერთოდ ვერ მიიღებს, ფიზიკური პირისაგან შემოწირულობას მიიღებს წელიწადში მაქსიმუმ 60,000 ლარის ოდენობით, გაუჩნდება კონტროლის პალატის წინაშე ანგარიშგების ვალდებულება, სესხის/კრედიტის აღებას მხოლოდ კომერციული ბანკებიდან შესძლებს, ვერ მიიღებს შემოწირულებას (უსასყიდლო დახმარებას) იურიდიული პირისგან და სხვა. ეს ჩანაწერი პირდაპირ არღვევს იურიდიული პირის, მის თანამშრომელთა გამოხატვის თავისუფლებას.
- პოლიტიკური პარტიებისათვის დადგენილი შეზღუდვები შეეხებათ, ასევე, იურიდიულ პირებს, რომლებიც „პირდაპირ ან არაპირდაპირ“ არიან დაკავშირებული პოლიტიკურ პარტიასთან ან „სხვაგვარად“ იმყოფებიან პოლიტიკური პარტიის კონტროლის ქვეშ, ასევე, ყველა იმ იურიდიულ და ფიზიკურ პირს, რომელსაც აქვს საქმიანი ურთიერთობა გაცხადებული პოლიტიკური მიზნებისა და ამოცანების მქონე პირთან. აღნიშნული შეზღუდვები საფრთხეს უქმნის იურიდიული პირების და მოქალაქეების თავისუფალ საქმიანობას და სახელმწიფოს აძლევს მათი კონტროლის განუზომელ შესაძლებლობას.

პარტიის მიერ ამომრჩევლის მოსყიდვა და მისთვის ხმის მიცემის სანაცვლოდ გარკვეული ქონების გადაცემა, რასაკვირველია, მიუღებელი ქმედებაა. თუმცა, ამავდროულად, მისი ჩადენის შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იყოს პროპორციული და გონივრული სასჯელები. სწორედ ვენეციის კომისიისა და ეუთოს რეკომენდაციაა, რომ პარტიების ლიკვიდაცია გამოყენებული იყოს სასჯელის უკიდურეს ზომად, მხოლოდ სხვა შედარებით

მსუბუქი სანქციების (მაგალითად, ჯარიმა) გამოყენების შემდეგ. ასეთი შეუსაბამო სასჯელების არსებობა ქმნის იმის რისკსაც, რომ ცალკეული პოლიტიკური პარტიების საქმიანობას შეექმნას დაბრკოლებები.

კანონპროექტებით არ ხდება ცალკე სპეციალური მუხლით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება ისეთი დარღვევების ჩადენისათვის, როგორებიცაა საჯარო მოხელეების მიერ ადმინისტრაციული რესურსების უკანონოდ გამოყენება, წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება, ბიუჯეტის სახსრებით საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკის ამსახველი მასალების დამზადება და სხვა სამართალდარღვევები, რომელთა ჩადენისას სახელმწიფო რესურსების გამოყენებას აქვს ადგილი. თუმცა, მიგვაჩნია, რომ მიზანშეწონილია ამ კუთხით სისხლის სამართლის კანონმდებლობის გამკაცრება.

კანონპროექტით, იურიდიულ პირებს, მათ წარმომადგენლებსა და „სხვა პირებს“ ეზღუდებათ ამომრჩეველს მოუწოდონ რომელიმე პოლიტიკური ძალის მხარდაჭერის ან მისგან თავის შეკავების თაობაზე. თუმცა, ამავდროულად, საარჩევნო კანონმდებლობით, წინასაარჩევნო აგიტაცია არ ეკრძალებათ საჯარო მოხელეებსაც კი, როდესაც ისინი არ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს. მოცემულ შემთხვევაში, ხელისუფლების მთავარი არგუმენტი არის საჯარო მოხელეების გამოხატვის თავისუფლება. ასევე, ადმინისტრაციულ ორგანოში - საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში (საჯარო რეესტრი, სამოქალაქო რეესტრი, შემოსავლების სამსახური, მომსახურების სააგენტო და სხვა) დასაქმებულ ადამიანებს არც სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას არ ეკრძალებათ მოქალაქეებისათვის მოწოდება რომელიმე პოლიტიკური ძალის მხარდაჭერის ან მისგან თავის შეკავების თაობაზე. ამ უკანასკნელთა და საჯარო მოხელეთა აღმატებული პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, კანონპროექტით შემოთავაზებული შეზღუდვა სრულიად დისპროპორციულია. ამასთან, გაუგებარია, რა მიზანს ემსახურება იურიდიულ პირთა, მათ წარმომადგენელთა ან „სხვა პირთა“ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა. მოგვაჩნია, რომ რომელიმე მინუციპალიტეტის გამგებელს ღია აგიტაციის გაწევით რიგით ამომრჩეველზე უფრო დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ვიდრე, მაგალითად რომელიმე თეატრის ან საწარმოს თანამშრომელს. შესაბამისად, სახელმწიფო სექტორისთვის დამახასიათებელი მაღალი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, საჯარო მოხელეებისთვის არათუ კერძო სექტორთან იდენტური, არამედ უფრო შემზღუდავი საკანონმდებლო გარემო უნდა იყოს უზრუნველყოფილი. თუმცა, პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტებით სახელმწიფო სექტორის როლის, პასუხისმგებლობის გათვალისწინების, მისთვის ადექვატური აკრძალვებისა და სანქციების დადგენის ნაცვლად, კერძო სექტორისათვის ხდება გამკაცრებული შემზღუდავი ნორმების შემუშავება.